პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც. კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 233 (9393) | ოთხშაბათი, 1 ოქტომბერი 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დეპეშა ამხანაგ მაო ძე-დუნს და ამხანაგ ა. ვიშინსკის დეპეშა ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის (1-ლი გვერდი).

განუწყვეტლივ ვამაღლოთ კომუნისტთა პოლიტიკური განათლების დონე — მოწინავე.

საქართველოს მშრომელები წარმატებით ასრულებენ პარტიის XIX ყრილობისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. შ. ჭოჭუა — ძოგულეთის მეჩაიეები ყრილობისწინა დღეებში. ქუთაისელ ფეიქართა სიტყვა და საქმე (1-ლი გვერდი).

ი. რიაბცევი — ლენინ-სტალინის პარტიის მძლავრი იდეური იარაღი (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. ს. ხარაზიშვილი — მზად არიან მეცადინეობისათვის. გ. წირღვავა — [illegible] განიზებულად იწყებენ. ი. ბუხაიძე — უკეთესად ვიმუშაოთ კომუნისტთა პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის (მე-3 გვერდი).

ლ. ტოლკუნოვი — დიდი ჩინელი ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებს (მე-3 და მე-4 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები (მე-4 გვერდი).

განუწყვეტლივ ვამაღლოთ კომუნისტთა პოლიტიკური განათლების დონე

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. 15 ოქტომბრიდან სწავლა განახლდება სოფლის პარტიულ ორგანიზაციებშიც. პარტიული ორგანიზაციები ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წელი ჩვენი კადრების, კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების შემდგომი აღმავლობის წლად გადაიქცეს.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყება ემთხვევა ლორსშესანიშნავ თარიღს ლენინ-სტალინის პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. 14 წლის წინათ—1938 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“.

სტალინური სახელმძღვანელო, რომელიც ყველა კომუნისტისათვის, მილიონობით მშრომელისათვის ნიადაგსახმარ წიგნად გადაიქცა, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიას, ლენინ-სტალინის პარტიის მძლავრ იდეურ იარაღს წარმოადგენს. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ამხანაგ სტალინისათვის დამახასიათებელი მეცნიერული სიღრმიფა და განსაცვიფრებელი სიბრძნით, უაღრესად გასაგები ენით გადმოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირული ისტორია და თეორია, განზოგადებულია ლენინ-სტალინის პარტიის უმდიდრესი, გიგანტური გამოცდილება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებაში „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ განსაზღვრულია სტალინური სახელმძღვანელოს უდიდესი როლი და მნიშვნელობა ჩვენი კადრების, კომუნიზმის მშენებელთა ბოლშევიკურად აღზრდისა და გამოწრთობის საქმეში, მთელი პარტიული პროპაგანდის გადაჭრით გარდაქმნის საქმეში. **„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“**, — ნათქვამია დადგენილებაში, — **წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანის გადაჭრის, მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ესე იგი საზოგადოებრივი განვითარების და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით პარტიის წევრთა შეიარაღების საქმეში, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების საშუალებას, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმის ჯეროვან თეორიულ სიმაღლეზე აყვანის საშუალებას“.**

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლა და ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ისტორიული დადგენილება, ისე როგორც ყველა შემდგომი გადაწყვეტილებანი, ცხადყოფენ ლენინ-სტალინის პარტიის, პირადად ამხანაგ სტალინის განუწყვეტელ მზრუნველობას ჩვენი კადრების, პარტიის წევრთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის, მშრომელთა ფართო მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისათვის. პოლიტიკური განათლების დონის ამაღლებისათვის სტალინური მზრუნველობით არის გამსჭვალული პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი, რომელიც თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს „მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად“.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ამჟამად, როცა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ახორციელებს უდიდეს ისტორიულ ამოცანას—აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით.

პარტიის წინაშე მდგომი ამ ისტორიული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა შეუძლიათ მხოლოდ თეორიულად მომზადებულ და პოლიტიკურად ნაწრთობ მუშაკებს. „აქსიომად უნდა მივიჩნიოთ,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **რომ, რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით, — რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენამეცეცე-საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება**“.

ამხანაგ სტალინის ეს ბრძნული მითითება დავიწყებას მისცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ. ამის გამო ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სუსტად იყო გაშლილი იდეოლოგიური მუშაობა, პირველ რიგში პარტიული და საბჭოთა კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, პარტიულ კონფერენციებზე, საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე მკაცრად და ბოლომდე იქნა მხილებული კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. ყრილობაზე აღინიშნა, რომ ცენტრალურ კომიტეტში იმის ზუსტი ცნობებიც კი არ იყო, თუ რამდენი წრე და სკოლაა პარტიული განათლების სისტემაში, რამდენი კომუნისტი მუშაობს დამოუკიდებლად თავისი იდეურ-თეორიული ზრდისათვის.

პარტიული განათლების ქსელის ბევრი წრე და პოლიტსკოლა მხოლოდ ქალაქზე არსებობდა. მეცადინეობაზე დასწრება ძალიან დაბალი იყო იმის გამო, რომ ბევრი პროპაგანდისტი ცუდად იყო შერჩეული, არასაინტერესოდ, მოსაწყენად ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას. გასულ სასწავლო წელს 6.581 პოლიტსკოლიდან და წრიდან, საღამოს პარტიული სკოლიდან და აქტივის სემინარიდან 330-ზე მეტს არ შეუსრულებია სასწავლო პროგრამა და 13.287 კომუნისტს არ შეუთვისებია გავლილი მასალა. გარდა ამისა, 8.115 კომუნისტს არ შეუსრულებია პოლიტიკური თვითგანათლების ინდივიდუალური გეგმები. ზოგიერთი კომუნისტი, გრძნობდა რა პარტიული ორგანიზაციის მხრივ სრულ უყურადღებობასა და უკონტროლობას, დამოუკიდებელი სწავლის ფორმას იმიტომ „ირჩევდა“, რომ დაეფარა თავისი უმოქმედობა და უდარდელობა მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის საქმეში.

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმეში არსებულ დიდ ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს აჭარის პარტიულ კონფერენციაზე. როგორც მთელ იდეოლოგიურ, ისე, კერძოდ, პარტიულ-პროპაგანდისტულ მუშაობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მანკიერმა სტილმა, რომელიც აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში საოლქო კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ დანერგა. პარტიული განათლების მთელ რიგ წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობა დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე ეწყობოდა. დიდი ნაკლოვანებები იყო აგრეთვე კომუნისტთა თვითგანათლების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის დახმარებით დიდი მუშაობა გასწიეს კადრების პოლიტიკური განათლების ახლებურად მოწყობისათვის. „საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, — თქვა XV ყრილობაზე ამხ. ა. ი. მგელაძემ,—ამჟამად საჭირო ზომებს იღებს იმისათვის, რომ პარტიული განათლების ქსელში ყველაფერი მომზადებული იყოს სასწავლო წლის დაწყებისათვის, რომ მეცადინეობა დროზე დაიწყოს“.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ხერიოზულად მოემზადნენ პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. გასულ წელთან შედარებით წელს უფრო მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებას, პროპაგანდისტთა კადრების შერჩევასა და მომზადებას, სამეცადინო ოთახების გამოყოფას და ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

მიუხედავად უკვე განხორციელებული ღონისძიებებისა, პარტიულ სწავლებაში კვლავ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანია. საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა პოლიტიკური განათლების საქმე დააყენონ ისე, როგორც ამას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, მიაღწიონ იმას, რომ ჩვენი კადრები, თვითეული კომუნისტი, მუდამ და ბეჯითად სწავლობდნენ, ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას. ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას და აღზრდას, ვინაიდან პროპაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა. საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა, პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტი მზრუნველობით მოეპყრონ პროპაგანდისტებს, მეტი დახმარება და ქმედითი კონტროლი გაუწიონ მათ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევდა პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიულ დონეს. ბევრი პარტიული ორგანიზაცია მხედველობიდან უშვებდა მთავარს—მეცადინეობის ხარისხს. ეს იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ პარტიულ სწავლებაში ფორმალიზმი და სკოლარობა იყო გაბატონებული. პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა გადაჭრით და ბოლომდე აღმოფხვრან ფორმალიზმისა და სკოლარობის ელემენტები პარტიული განათლების სისტემაში.

საქართველოს კომპარტიის XV ყრილობამ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს დაავალა პირადად უხელმძღვანელონ პარტიული განათლების საქმეს, არ „გადააკისრონ“ იგი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებს. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება ხელს შეუწყობს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დაყენების გაუმჯობესებას.

ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებში უკვე დაიწყო. მალე დაიწყება მეცადინეობა სოფლის პარტიულ ორგანიზაციებშიც. ეს დიდ ამოცანებს აკისრებს პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი დაუღალავად უნდა მუშაობდნენ იმისათვის, რომ პოლიტიკური სწავლება წელს უფრო ორგანიზებულად და უფრო მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მიმდინარეობდეს, ვიდრე შარშან. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ კონტროლი და დახმარება კომუნისტების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ცოდნის მინიმუმის შეთვისებისადმი. სწავლების დაწყების პირველი დღეებიდანვე ისინი გულდასმით უნდა ამოწმებდნენ წრეებისა და პოლიტსკოლების, სემინარებისა და პროპაგანდისტების მუშაობას და გადამჭრელ ზომებს იღებდნენ გამოვლენებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შეთვისება თვითეული კომუნისტის საწესდებო მოთხოვნაა. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გააძლიერონ კომუნისტების პასუხისმგებლობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის, თავისი შეგნებულობის ამაღლებისათვის. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის შეუთვისებლად კომუნისტს არ შეუძლია წარმატებით შეასრულოს მასების ხელმძღვანელის როლი, კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდის როლი.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყველა პირობა შექმნან იმისათვის, რომ პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობა მიმდინარეობდეს მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე, ჩვენი პარტიის წინაშე მდგარი უდიდესი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტის დონეზე.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲫᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲜᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

აჭარის ასს რესპუბლიკამ 29 სექტემბრისათვის 102,4 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა და რძისა — 101,2 პროცენტით.

ხორცისა და რძის ჩაბარება გრძელდება.

ᲑᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

გარეუბნის რაიონმა 24 სექტემბერს 109 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

29 სექტემბერს საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა კორეის პროფკავშირთა დელეგაცია იუ ჩენ რენის მეთაურობით. ჩრდილოეთ ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ საკავშირო პროფსაბჭოს პასუხისმგებელ მუშაკები. (საკლესი).

დეპეშა

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲡ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მესამე წლისთავის გამო გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარეო, მიიღოთ ჩემი გულითადი მოლოცვა.

ვუსურვებ დიდ ჩინელ ხალხს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას და პირადად თქვენ ახალ წარმატებებს ჩინეთის მძლავრი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში.

დაე მტკიცდებოდეს და ჰყვავოდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიადი მეგობრობა, რომელიც მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე დასაყრდენია შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში!

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

დეპეშა

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ ᲯᲝᲣ ᲔᲜ-ᲚᲐᲘᲡ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მესამე წლისთავის დღეს გთხოვთ, ამხანაგო პრემიერო და მინისტრო, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა და გულითადი სურვილი შემდგომი წარმატებისა ახალი, სახალხო-დემოკრატიული ჩინეთის მშენებლობაში, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა დიდი მეგობრობის განმტკიცებაში და მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

Ა. ᲕᲘᲨᲘᲜᲡᲙᲘ

საქართველოს მშრომელები წარმატებით ასრულებენ პარტიის XIX ყრილობისათვის ნაკისრ ვალდებულებებს

ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲔᲜ

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში დიდი შრომითი აღმავლობაა. ახალგაზრდა ქართველი მეტალურგები იბრძვიან რათა საამაყო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას.

ქარხნის დამხმარე საამქროთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სარემონტო-მექანიკური საამქრო, რომლის ყველა მუშა ჩაბმულია პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავდადებულად იბრძვის ქარხნის ძირითად საამქროთა დაკვეთების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

საუკეთესო მოარავმა ე. ჩიხრაძემ, ზეინკალმა ჩ. ბერიძემ, მრანდავმა მ. თუშიშვილმა, ხარატმა, გ. ბერაშვილმა და მჭედელმა ი. ღვინიაშვილმა ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგომისას იკისრეს, რომ 160-200 პროცენტით შეასრულებდნენ დღიურ ნორმებს. ისინი ვალდებულებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ აგრეთვე მოწინავე სტახანოველები ვ. კიკალაშვილი, ვ. დემეტრაშვილი, გ. გოლოვინი, გ. მიტიჩაშვილი და სხვები.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ

ბოლნისი. (საკ. კორ.). პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ახალ შრომითს წარმატებებს აღწევს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი (დირექტორი ა. ხიდაშელი), რომელმაც მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა.

კომბინატის ხისდამუშავებელმა წარმოებამ 8 თვეში გეგმის გადამეტებით 35 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე სამჭედლო და ურმის თვლების დამამზადებელმა, სამკერვალო და სხვა საწარმოებმა.

კომბინატის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ 10 თვის გეგმა შეასრულოს პარტიის XIX ყრილობის გახსნის დღისათვის — 5 ოქტომბრისათვის.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚ ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ქუთაისი. (ჩვენი კორ.). მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც გულდასმით შეისწავლა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ისტორიული საყრილობო დოკუმენტები, ფართოდ გაიჩაღა სოციალისტური შეჯიბრება. ფეიქრებმა იკისრეს ვადაზე ადრე შეასრულონ 9 თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ ერთი მილიონ ასი ათასი მანეთის პროდუქცია, გასწორონ 462 ტონა საწვავის და 239 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ეკონომია, მნიშვნელოვნად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

— მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეეხვდეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას, — მოუწოდა მუშებს ფაბრიკის საერთო კრებაზე სტახანოველმა ნ. ტყემალაძემ.

წარჩინებული სტახანოველი ნ. ტყემალაძე სიტყვას საქმით ანაღდებს. შრომის მოწინავე მეთოდის გამოყენებით იგი წარმოებას ყოველთვიურად 500-600 კილოგრამ ნართს უზოგავს და დღიურ საწარმოო ნორმას 130-140 პროცენტით ასრულებს.

ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ინჟინერ ა. ბერიშვილის ცვლა, რომელმაც აგვისტოში გეგმის გადამეტებით სამშობლოს 1.700 კილოგრამი ნართი მისცა. ამჟამად იმისათვის იბრძვის, რომ 5 ოქტომბრისათვის გამოუშვას მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია, გეგმის გადამეტებით დაამზადოს 1.500 კილოგრამი ნართი და დაზოგოს 1.000 კილოგრამი ნედლეული. შეჯიბრების დღეებში ფაბრიკის წარჩინებული მქსოველები ო. ივანიკოვა, მ. ალექმინა, ნ. კუპრაშვილი და სხვები საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან და გადაჭარბებით ანაღდებენ ყოველდღიურ ნორმებს.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დიდი შრომითი აღმავლობაა ქობულეთის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებში. მოწინავე მეჩაიეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობის გახსნის დღეს.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში დაწინაურდა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. ი. ფუტურიძე). პლანტაცია აქ კარგად არის მოვლილი. მეურნეობის კოლექტივმა სახელმწიფო გეგმით წელს უნდა მოკრიფოს და მრეწველობას ჩაბაროს 2 მილიონ 350 ათასი კილოგრამი ფოთოლი. დავალების გასანაღდებლად მეურნეობაში კრეფის სეზონის დაწყებიდანვე ჩქარი ტემპი აიღეს. ამის შედეგად მთელ აჭარაში ნიდლეულის დამზადებაში წინ მიდიან. მეურნეობის მუშაკები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გადაწყვიტეს, რომ ყრილობის გახსნის დღის — 5 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 30 ტონა, სეზონის დამთავრებამდე კი 150 ტონა ჩაის ფოთოლი.

ნაყოფიერად მუშაობს აგროგანყოფილება, რომელსაც აგრონომი ამხ. ა. იმნაიშვილი ხელმძღვანელობს. პლანტაციის კარგი მოვლის შედეგად ამ განყოფილებაში ყოველწლიურად ზრდიან ჩაის მოსავლიანობას. შარშან აქ 77,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 4,775 კილოგრამი ჩაი. წელს კი 6 ათასი კილოგრამის მიღებისათვის იბრძვიან. მათი პირობაა წლიური გეგმის გადამეტებით სეზონში მოკრიფონ 50 ტონა ფოთოლი. წარმატებებით მუშაობს აგრეთვე მექანიკა აგროგანყოფილება (ხელმძღვანელი ამხ. გ. ღლონტი).

ცალკეული ბრიგადებიდან ყველას გაუსწრო ამხ. ა. ბაგარეკვას ბრიგადამ. მას ჯერ იდევ 14 სექტემბრისათვის გადაჭარბებით ჰქონდა შესრულებული წლიური გეგმა. 49.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა 55.420 კილოგრამი ჩაი. ახლა ბრიგადა ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით კრეფს ფოთოლს. წლიური გეგმა შეასრულეს და გეგმის გადამეტებით კრეფენ ფოთოლს აგრეთვე ნ. გუსევის, ა. რობოვსკაიას, პ. ჩერტოვის ბრიგადები.

ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში მოწინავეთა რიგებშია სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ლ. წულუკიძე. რაიონში ყველაზე ადრე ამ კოლმეურნეობამ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. შარშან კოლმეურნეობაში ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე შეადგენდა 5.053 კილოგრამს; წელს კი 5.120 კილოგრამის მოყვანისათვის იბრძვიან.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების განაღდებაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. ა. კონცელიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ ისე მოაწყო შრომა, რომ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 35 ათასი კილოგრამისა მოკრიფა 36.138 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაი. ბრიგადა ყრილობის გახსნის დღის აღსანიშნავად დადგა სტახანოვურ ვახტზე და სეზონის დამთავრებამდე გეგმის გადამეტებით 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფისა და თვითეულ ჰექტარზე 6.700 კილოგრამი ჩაის მიღებისათვის იბრძვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისწინა დღეებში ასევე ენერგიულად მუშაობენ და ახალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად იბრძვიან სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის, აუყვისთავის ივანოვის სახელობისა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობების მოწინავე მეჩაიეები.

Შ. ᲭᲝᲭᲣᲐ,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ლენინ-სტალინის პარტიის მძლავრი იდეური იარაღი

ი. რიაბცევი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ოთხმეტი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი“, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის მძლავრი იარაღია. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები, რომლებიც გადმოცემულია ამ წიგნში, უდიდეს გავლენას ახდენდნენ და ახლაც ახდენენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე, ყველა ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ნიადაგსახმარი წიგნი გახდა ჩვენი ქვეყნის მილიონობით კომუნისტისა და უპარტიოსათვის, უცხო ქვეყნების კომუნისტებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც სწავლობს მოწინავე რევოლუციურ თეორიას. ეს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული მარქსისტული წიგნია.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა განავითარა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ და თავის სხვა შრომებში, კომუნიზმის გზას უნათებენ საბჭოთა ადამიანებს. საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით ახორციელებს ამხანაგ სტალინის წინასწარდასახულობებს სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის შესახებ. ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების დიდებული პერსპექტივები, რომლებიც განსახიერებულია სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში, ახალი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებენ მშრომელებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც შეიარაღებული არიან ლენინ-სტალინის დიადი, უძლეველი მოძღვრებით, თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებენ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას. ხელმძღვანელობენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები აშენებენ ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას, ჩაგრული მასები კაპიტალის ქვეყნებში ეწევიან ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

* * *

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ლენინ-სტალინის პარტიის ხანდაზმული მეცნიერული ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგის ძირითად ცოდნათა ნამდვილი ენციკლოპედიაა. ამ წიგნის შექმნით ბოლო მოეღო თვითნებობასა და არევ-დარევას ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების განმარტებაში. ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაწარმოები კომუნისტური პარტიის ისტორიას მჭიდროდ უკავშირებს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა გმირულ ბრძოლას განთავისუფლებისათვის, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას.

დიადი სტალინური წიგნის ფურცლებზე მკაფიოდ არის ნაჩვენები, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) იზრდებოდა, იდეურად იწრთობოდა და იმარჯვებდა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მტრების წინააღმდეგ, ლენინიზმის მტრების — მენშევიკების, ესერების, ანარქისტების, ტროცკისტების, ბუხარინელების, ყველა ჯურის ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. იმპერიალიზმის ამ საზიზღარი აგენტების გაუნადგურებლად შეუძლებელი იქნებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობისა და სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებისათვის საჭირო პირობების მომზადება.

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა საქმით გამოსცადეს რუსეთში არსებული ყველა მთავარი პარტია: მემამულეთა პარტია (შავრაზმელები), კაპიტალისტთა პარტია (კადეტები), მენშევიკების პარტია (მემარჯვენე „სოციალისტები“), სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (კულაკების დამცველები), კომუნისტთა პარტია. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა სსრ კავშირში რევოლუციური მოვლენების განვითარების მსვლელობაში თავიდან მოიშორეს ყველა ბურჟუაზიული პარტია და არჩევანი გააკეთეს კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს პარტია ერთადერთი ანტიმემამულური და ანტიკაპიტალისტური პარტიაა. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის ხალხები სავსებით უჭერენ მხარს ბრძოლებში ნაცად კომუნისტურ პარტიას.

ამხანაგმა სტალინმა შექმნა ჩვენი პარტიის მეცნიერული ისტორია. ამხანაგმა სტალინმა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ბრწყინვალე შუქით გაანათა სახელოვანი გზა, რაც ჩვენმა პარტიამ განვლო პირველი, პატარა მარქსისტული წრეებიდან და ჯგუფებიდან ბოლშევიკების დიად პარტიამდე, რომელიც ახლა მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს ხელმძღვანელობს. ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს ისტორიულ მოვლენათა შინაგან კავშირს, განმარტავს, თუ რას გვასწავლის ბოლშევიზმის მსოფლიო ისტორიული გამოცდილება.

გენიალური სტალინური შრომა აიარაღებს ბოლშევიკურ კადრებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების, კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნით. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ.

ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების გასაგებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის ნაშრომს „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც შეადგენს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავს. ამ კლასიკურ ნაშრომში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა დასრულებული და სისტემატური გაშუქება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისა, როგორც კომუნიზმის თეორიული საფუძვლის, როგორც მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობისა, რომელიც იდეურად აიარაღებს მუშათა კლასს მის ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისა და კომუნიზმის აშენებისათვის. ამხანაგმა სტალინმა ამ ნაშრომში განსაკუთრებული ძალით გვიჩვენა, თუ რა შინაგანი კავშირი არსებობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და კომუნისტური პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის, მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიასა და პარტიის პოლიტიკას შორის.

ი. ბ. სტალინის ნაშრომს „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც დაწერილია მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის სწორუპოვარი ოსტატის მიერ და რომელიც განაზოგადებს ბოლშევიზმის გიგანტურ პრაქტიკულ და თეორიულ გამოცდილებას, **ახალ, უმაღლეს საფეხურზე აჰყავს დიალექტიკური მატერიალიზმი, იგი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური აზრის ნამდვილი მწვერვალია.**

მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში შეტანილი ახალი შესანიშნავი წვლილია ამხანაგ სტალინის ნაწარმოები „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. ამ ნაწარმოებში ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა მარის ანტიმარქსისტული თეორია ენის შესახებ, შექმნა ენის შესახებ მარქსისტული მოძღვრების მეცნიერული საფუძვლები და დაამუშავა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების ახალი, უმაღლესი საფეხური.

სტალინური „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მთელი შინაარსი გამსჭვალულია მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და მუშათა კლასის რევოლუციური პრაქტიკის ერთიანობით. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია მარქსიზმ - ლენინიზმია მოქმედებაში. ამხანაგი სტალინი პარტიის ისტორიას აშუქებს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი იდეების განვითარების ბაზაზე. იგი გვიჩვენებს, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებებს ყოველთვის ადასტურებს რევოლუციური პრაქტიკა, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამოცდილება და რომ ამ პრაქტიკის, ამ გამოცდილების განზოგადების საფუძველზე ვითარდება და მდიდრდება მარქსიზმ-ლენინიზმი. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ განსაკუთრებული სიღრმით და მკაფიოდ გაშუქებული და განზოგადებულია კომუნისტური პარტიის გიგანტური გამოცდილება, რომლის ბადალიც არ ჰქონია და არცა აქვს არც ერთ პარტიას მსოფლიოში.

საკავშირო კ. პ. (ბ) გმირული ისტორია არის რუსეთის სამი რევოლუციის ისტორია, ცარიზმის დამხობის, ჩვენს ქვეყანაში ექსპლუატაციის და კაპიტალისტთა ხელისუფლების დამხობის ისტორია, სამოქალაქო ომის დროს უცხოელთა შეიარაღებული ინტერვენციის განადგურების ისტორია, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური საზოგადოების აშენების ისტორია. ამ წიგნის ფურცლებზე სამარადისოდ აღბეჭდილია საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დიადი შედეგები, ხალხისა, რომელმაც განახორციელა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა — სოციალიზმი და შეეიდა კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში სსრ კავშირის ხალხების მიერ მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი ლენინ-სტალინის პარტიის ტრიუმფია, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ტრიუმფია.

მარქსისტულ-ლენინური თეორია როგორც მეცნიერება, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, განუწყვეტლივ ვითარდება და უმჯობესდება; ეს დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვიჩვენებს მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მოძღვრების ერთიანობას, მთლიანობასა და თანამიმდევნობას, გვიშუქებს იმ ახალს, რაც ამ დიად მოძღვრებაში შეიტანეს ლენინმა და სტალინმა ახალ ისტორიულ პირობებში მუშათა კლასის ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილებისა და თანამედროვე მეცნიერების მიღწევების განზოგადების შედეგად. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ მკაფიოდ არის გამოხატული, თუ ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადები ლენინი და სტალინი ახალ ისტორიულ პირობებში როგორ ავითარებდნენ შემოქმედებითად მარქსიზმის უმნიშვნელოვანეს იდეებს, როგორ აიყვანეს მარქსიზმი ახალ, უმაღლეს საფეხურზე.

ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმია, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმია.

მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების შესანიშნავი ნიმუშია სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია, თეორია ცალკე ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. მარქსსა და ენგელსს, რომლებიც იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის ეპოქაში ცხოვრობდნენ, მიაჩნდათ, რომ ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია, რომ ეს გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ ერთსა და იმავე დროს ყველა ან მეტ წილ ქვეყნებში. გაუკეთა რა ანალიზი იმპერიალიზმის განვითარების კანონზომიერებას, ლენინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მარქსისა და ენგელსის ძველი ფორმულა აღარ შეეფერება ახალ ისტორიულ ვითარებას. ლენინმა დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარების გამო სოციალისტური რევოლუცია, სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია თავდაპირველად ერთ ქვეყანაში, რომ ყველა ქვეყანაში სოციალიზმის ერთსა და იმავე დროს გამარჯვება შეუძლებელია. ამ ლენინურმა თეორიამ, რომელიც გენიალურად განავითარა ამხანაგმა სტალინმა, გზა გაუხსნა სოციალიზმის გამარჯვებას სსრ კავშირში, რევოლუციური პერსპექტივა დაუსახა ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს, გასაქანი მისცა მათს რევოლუციურ ინიციატივას კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების მეორე კლასიკური მაგალითი ის არის, რომ ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმა. განაზოგადა რა რუსეთის პირველი ორი რევოლუციის გამოცდილება, ლენინმა გააკეთა დასკვნა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმა არის არა პარლამენტური რესპუბლიკა, არამედ საბჭოების რესპუბლიკა. ამასთან ლენინი აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლებელია იყოს პროლეტარიატის დიქტატურის სხვადასხვა ფორმა კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით. ლენინის ეს გენიალური დებულებანი მთლიანად დაადასტურა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის გამოცდილებამ, ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილებამ, რომლებმაც სსრ კავშირის დახმარებით დაამყარეს და განამტკიცეს სახალხო-დემოკრატიული წყობილება.

განავითარა რა ლენინიზმი, ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ სახალხო-დემოკრატიული წყობილება პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს ასრულებს.

შეცვლილი ისტორიული პირობების შესაბამისად მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების შემოქმედებითი გადაჭრის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის გენიალური დასკვნა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობისა და იმის შესახებ, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას სახელმწიფო კომუნიზმის დროს, თუ დარჩება კაპიტალისტური გარემოცვა. როცა კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის ქვეყანამ, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ ყოველი ღონისძიებით უნდა გააძლიეროს თავისი სახელმწიფო, სახელმწიფოს ორგანოები, დაზვერვის ორგანოები, არმია, თუ ამ ქვეყანას არა სურს, რომ იგი გაანადგუროს კაპიტალისტურმა გარემოცვამ.

შემოქმედებითი მარქსიზმის ბრწყინვალე ნიმუშია ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროგრამის, სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ მოძღვრების შემუშავება, ეროვნულ საკითხში კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის დამუშავება.

ხელმძღვანელობდა რა საზოგადოების განვითარების კანონებით, განაზოგადა რა საკავშირო კ. პ. (ბ) და მსოფლიო რევოლუციური მუშათა მოძრაობის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ განავითარა ლენინიზმის იდეები.

ამხანაგმა სტალინმა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, ისევე როგორც თავის სხვა ნაწარმოებებში, გვიჩვენა იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, გენიალურად გვიჩვენა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალი მამოძრავებელი ძალები, სოციალიზმის დროს საზოგადოების განვითარების ახალი კანონზომიერებანი.

ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ავითარებს და ამდიდრებს ჩვენი პარტიის იდეურ მონაპოვარს. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზების, ფორმებისა და მეთოდების შესახებ მისი გენიალური მითითებანი ახალ ფურცელს გადაგვშლიან საბჭოთა საზოგადოების იდეურ ცხოვრებაში, სწორ ორიენტაციას ა[illegible]ლევენ პარტიასა და ხალხს კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში.

* * *

სტალინური „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნებით ახალი ხანა დაიწყო ლენინ-სტალინის პარტიის იდეური ცხოვრების, მისი პროპაგანდისტული საქმიანობის განვითარებაში, იგი სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ახალი გრანდიოზული ამოცანების შესაბამისად კადრების პოლიტიკური აღზრდის თეორიული საფუძველი გახდა.

კომუნიზმის გამარჯვება გულისხმობს არა მარტო მატერიალური დოვლათის, არამედ სულიერი კულტურის სიუხვესაც. სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა მოითხოვს პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ აღმავლობას, მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის განუხრელ ზრდას. ამ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას.

„მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — მდგომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 439).

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“ აიარაღებს ჩვენს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო კადრებს, ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით, ეხმარება მათ შეიცნონ საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონები, გაიგონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველია.

ცხადყო რა კადრების მარქსისტულ-ლენინური მომზადების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი საქმის წარმატებისათვის, ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფო და პარტიული მუშაობის ამა თუ იმ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიანია მისი შედეგები. სტალინის გენიალური წიგნი ჩვენს ხელმძღვანელ კადრებს, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს უნერგავს ახლის გრძნობას, რაზმავს მათ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, დოგმატიზმისა და მედავითნეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მოუწოდებს მათ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკით აღძრული უმნიშვნელოვანესი საკითხების ჯანდოლი შემოქმედებითი დამუშავებისაკენ.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ზრდის ჩვენს კადრებს მაღალი იდეურობის, ბოლშევიკური პარტიულობის, რევოლუციური სიფხიზლის სულისკვეთებით, ასწავლის მუშაობის ლენინურ-სტალინურ სტილს, უნერგავს იმის უნარს, რომ მუდამ ანმტკიცებდნენ კავშირს მასებთან, გაბედულად გააჩაღონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ საფუძველზე კომუნისტურმა პარტიამ ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა იდეურ-თეორიული და პროპაგანდისტული მუშაობა. სტალინის გენიალური შრომა ბოლშევიზმის თეორიისა და ისტორიის შესასწავლად უბადლო სახელმძღვანელოა მილიონობით ადამიანისათვის, რომელნიც წარმატებით ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

სტალინის წიგნი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ძლიერი საშუალებაა. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რომლებიც განსახიერებულია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, სულ უფრო ეუფლებიან მასებს, აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი გმირობისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით „საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ომისშემდგომ პერიოდში მიიღო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მუსიკის საკითხებზე. გაიმართა შემოქმედებითი დისკუსიები ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ენათმეცნიერების საკითხებზე.

„ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა მიზანია,—ამბობდა ამხ. გ. მ. მალენკოვი,—უზრუნველყოს საბრძოლო საბჭოთა პატრიოტული სულისკვეთების გაბატონება მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა რიგებში, ამრიგად გააძლიეროს საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობა და ახალ, უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს ჩვენი სოციალისტური კულტურის ყველა საშუალებანი: პრესა, პროპაგანდა, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება“.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ახალ პასუხსაგებ ამოცანებს, პარტია კიდევ უფრო დიდ ყურადღებას აქცევს თავისი წევრების პოლიტიკურ წრთობას, თავისი რიგების იდეურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას.

„ამჟამად,—ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში,—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

პარტიის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლა მოითხოვს, რომ გაძლიერდეს ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობა პარტიის საქმისათვის, გადიდდეს მათი ავანგარდული როლი კომუნიზმის მშენებლობაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ პარტიის წევრთა შემდგომი იდეურ-პოლიტიკური ზრდის საფუძველზე. ამიტომ, ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში, პარტიის თვითეული წევრი მოვალეა „მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად“.

თუ თეორიული მომზადება და პოლიტიკური წრთობა არა აქვს, კომუნისტი წარმატებით ვერ შეასრულებს მასების წინამძღოლის როლს, ვერ იქნება პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლი. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ეხმარება პარტიის წევრებს კიდევ უფრო კარგად შეითვისონ და შეასრულონ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავიანთი მოვალეობა—ყოველდღიურად განამტკიცებდნენ კავშირს მასებთან, თავის დროზე ეხმაურებოდნენ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, განუმარტავდნენ უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების აზრს, ახსოვდეთ, რომ ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა ხალხთან მისი სისხლხორცეული და გაუყოფელი კავშირია.

* * *

ბოლშევიზმის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება, რაც ამხანაგმა სტალინმა ოსტატურად გააშუქა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების სახელმძღვანელოა. სტალინის წიგნი ასწავლის მომმე კომპარტიებს შემოქმედებითად გამოიყენონ მარქსისტულ-ლენინური თეორია თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში, აიარაღებს მათ რევოლუციური სტრატეგიითა და ტაქტიკით, ეხმარება აღზარდონ მუშათა კლასი და ყველა მშრომელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის საიმედო ბურჯის—საბჭოთა კავშირისადმი სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით.

ეუფლებიან რა ლენინ-სტალინის მოძღვრებას, უცხოთის კომპარტიები ეწევიან ბრძოლას ბურჟუაზიის მემარჯვენე სოციალისტი დამქაშების წინააღმდეგ, იდეურად და ორგანიზაციულად განამტკიცებენ თავიანთ რიგებს, გადაჭრით იშორებენ თავიდან მტრულ, უცხო ელემენტებს. ისინი თავიანთ ქვეყნებში მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით სათავეში უდგანან მშრომელთა ბრძოლას ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, ბრძოლას თავიანთი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისაკენ.

დიდი ლენინი აღნიშნავდა, რომ მარქსის მოძღვრება ყოვლისმძლეა, რადგან იგი სწორია. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორე, მისი უძლეველობა დადასტურებულია საბჭოთა კავშირის—კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის უმდიდრესმა ისტორიულმა გამოცდილებამ. მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა დაადასტურა სოციალიზმის გზაზე მდგომი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებამ, დიდი ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვების გამოცდილებამ.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრება თავისი დროშის ქვეშ იკრებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ახალ-ახალ მილიონობით მშრომელ მასებს. იზრდება და მტკიცდება ურყევი სოციალისტური ბანაკი მსოფლიოს დიდი სოციალისტური სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის მეთაურობით. რაც უნდა მძვინვარებდეს იმპერიალისტური რეაქცია, ბურჟუაზია ვერასოდეს ვერ ჩაახშობს ჩაგრული მასების რევოლუციურ ბრძოლას, ხელს ვერ შეუშლის ყველა ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძლევამოსილ გავრცელებას. მუშათა კლასს თავისი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის მეთაურობით მაღლა უჭირავს ლენინ-სტალინის დროშა, მიჰყავს მსოფლიოს ჩაგრული მასები იმპერიალიზმის ოღლისაგან სრული განთავისუფლებისაკენ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისაკენ.

უკრაინის კ. პ. (ბ) XVII ყრილობა

კიევი, 27 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დამთავრდა უკრაინის კ. პ. (ბ) XVII ყრილობა.

ყრილობაზე ყოველმხრივ განხილულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მასალები პარტიის XIX ყრილობისათვის. დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა ქვეყნის შემდგომი ეკონომიური და კულტურული ზრდის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზული პროგრამა, შეიტანეს თავიანთი წინადადებანი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტის გამო. ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა აგრეთვე პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი.

ყრილობამ განიხილა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. გ. მელნიკოვმა.

მოხსენებელმა და კამათში გამოსულმა დელეგატებმა შეაჯამეს დიდი მუშაობა, რომელიც უკრაინის პარტიულმა ორგანიზაციამ გასწია საანგარიშო პერიოდში, გამოავლინეს ნაკლოვანებანი სამეურნეო, პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში, დასახეს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი ზრდის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, მთელი პარტიული მუშაობის დონის ამაღლების პერსპექტივები.

უკრაინის კ. პ. (ბ) ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო და დაამტკიცა ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

არჩეულ იქნა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

დიდი აღფრთოვანებით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღო ყრილობამ მისალმება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

* * *

27 სექტემბერს გაიმართა უკრაინის კ. პ. (ბ) ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ლ. გ. მელნიკოვი, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად ამხ. ა. ი. კირიჩენკო, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად ამხ. ი. დ. ნაზარენკო.

1951 წლის სტალინური პრემიების ლაურეატებს გადაეცათ საპატიო ნიშნები და დიპლომები

29 სექტემბერს მოსკოვში სტალინური პრემიის ლაურეატების საპატიო ნიშნები და დიპლომები გადაეცა მწერლების, კომპოზიტორების, მსახიობების, მხატვრების, არქიტექტორების, კინოს მუშაკების დიდ ჯგუფს, რომლებიც 1951 წლის თვალსაჩინო მიღწევებისათვის მაღალი ჯილდოს ღირსნი გახდნენ.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ა. ფადეევმა გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა შემდგომი წარმატებანი შემოქმედებითს მუშაობაში.

სიტყვები წარმოთქვეს სტალინური

პარტიული ცხოვრება

მზად არიან მეცადინეობისათვის

თბილისის კიროვის სახელობის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე გააჩაღეს მზადება პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში შარშან არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას. მიღებულ იქნა ზომები, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული პოლიტსკოლებისა და წრეების არასწორი დაკომპლექტება.

კიროვის რაიონში ბევრია მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაცია. შეუძლებელი იყო ყველა მათგანთან წრის ან პოლიტსკოლის შექმნა. ამიტომ რამდენიმე პარტორგანიზაციის კომუნისტებისათვის ყალიბდებოდა ეგრეთწოდებული ნაკრები წრე. სულ არსებობდა 17 ასეთი წრე, რომლებიც მეცადინეობდნენ ერთ შენობაში — ქალთა 35-ე საშუალო სკოლაში. შარშანდელმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ ნაკრებმა წრეებმა ვერ გაამართლეს მოლოდინი. გაითვალისწინა რა ეს გარემოება, პარტიის რაიკომმა წელს მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებთან წრეების დაკომპლექტების უფრო მოხერხებული და მოქნილი სახე გამონახა. ორი ან რამდენიმე ახლომდებარე საწარმოს კომუნისტებისგან იქმნება წრე, რომელიც ყალიბდება იმ პარტიულ ორგანიზაციასთან, რომელშიც უფრო მეტია მსმენელთა რაოდენობა, ამიტომ წრის საქმიანობისათვის პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

პარტიის რაიონული კომიტეტი მიმდინარე წელს უფრო გულისხმიერად მოეკიდა პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების შერჩევის საქმეს. წელს პირველად შეუდგება მეცადინეობას 44 პროპაგანდისტი და 51 კონსულტანტი. ესენი უმთავრესად არიან მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის, მაღალი ტიპის პოლიტწრეების ყოფილი მსმენელები, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს სწავლების კურსი.

პარტიის ისტორიისა და ბელადების ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელებისათვის შარშან ერთად ტარდებოდა სემინარები, რაც სასურველ შედეგს არ იძლეოდა. ახლა აღნიშნული სემინარები ცალცალკე იმუშავებენ.

პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის გამოქვეყნებამ კიდევ უფრო გააძლიერა კომუნისტების სწრაფვა პოლიტიკური ცოდნის ჰორიზონტის გასაფართოებლად, აამაღლა პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, პარტიის წევრებისა და კანდიდატების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი ხელმძღვანელობისათვის.

წელს მეცადინეობას იწყებს 108 პოლიტსკოლა და წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 2.150 მსმენელი. წრეები და პოლიტსკოლები დაკომპლექტებულია მსმენელთა საერთო, პოლიტიკური განათლების დონისა და მათი სურვილის გათვალისწინებით.

პოლიტიკური სწავლების ნაცადი მეთოდია ყიგიზე დამოუკიდებლად მუშაობა. შარშანდელთან შედარებით წელს 322 კაცით მეტი იმეცადინებს დამოუკიდებლად. მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელებს კვალიფიციურ კონსულტაციას გაუწევს 130-ზე მეტი კონსულტანტი.

საქართველოს სტატისტიკური სამმართველოსა და თბილისის პურვაჭრობის კომუნისტები და უპარტიო სპეციალისტები მათთვის შექმნილ ორ წრეში წელს პირველად შეუდგებიან პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას.

პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების დასახმარებლად და მათთვის სათანადო მეთოდური რჩევა-დარიგების მისაცემად შექმნილია სემინარები. პროპაგანდისტთა სემინარებში უკვე ჩატარდა ორ-ორი მეცადინეობა.

სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ძირითადად დამთავრებული იყო ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაო პოლიტიკური განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებისათვის. წრეებისა და სკოლებისათვის გამოიყო სათანადო ბინები, განისაზღვრა სამეცადინო დღეები. ბელადების ბიოგრაფიებისა და პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების მსმენელები უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელოებით, შეძენილია რუკები, ალბომები, პლაკატები.

პირველ მეცადინეობაში მონაწილეობის მისაღებად და დასახმარებლად პარტიულ ორგანიზაციებზე მიმაგრებული არიან პარტიის რაიკომის წარმომადგენლები. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში გამოუშვეს პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

მიუხედავად იმისა, რომ კიროვის სახელობის რაიონის პარტიული ორგანიზაცია წელს უფრო ორგანიზებულად ხვდება პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებას, მას მაინც აქვს ზოგიერთი ნაკლი ამ საქმეში. მართალია, წელს უფრო მეტი რაოდენობით არიან ჩაბმული პარტიული განათლების ქსელში კომკავშირელები და უპარტიოები, მაგრამ მათი რაოდენობა მაინც მცირეა. ეს განსაკუთრებით ითქმის რაიონის ისეთ მსხვილ საწარმოებზე, როგორიც არის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“, ძაფსართავი და ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკები. დღემდე არ არის დამტკიცებული თბილისის პურვაჭრობასთან შექმნილი პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი, აგრეთვე არ არის შერჩეული ხელმძღვანელი კონსულტანტთა სემინარისათვის.

საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები პოლიტიკური განათლების საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ს. ხარაზიშვილი.

სასწავლო წელს ორგანიზებულად იწყებენ

ქალაქ სუხუმის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მოპოვებული გამოცდილების განზოგადებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შედეგად ნაყოფიერი მუშაობა იქნა გაწეული ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა კომუნისტების ლტოლვა პოლიტიკური სწავლების მაღალი ფორმებისადმი. მაგალითად, თუ გასულ წელს მხოლოდ პოლიტიკური ეკონომიის ერთი და დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი 3 წრე არსებობდა, ახალი სასწავლო წლიდან იმუშავებს პოლიტიკური ეკონომიის 5, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის 6 და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის 7 წრე.

გადიდდა იმ კომუნისტების რიცხვი, რომლებიც წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდით დაეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმს. უკვე შექმნილია 255 საკონსულტაციო ჯგუფი 1.839 კომუნისტისათვის.

1 სექტემბერს ორგანიზებულად დაიწყო მეცადინეობა პარტიის სუხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტმა, რომელშიც 288 კაცი სწავლობს.

ნაყოფიერი მუშაობა იქნა გაწეული პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის. ძირითადად შენარჩუნებულია პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა ძველი, გამოცდილი კადრები. ყველა მათგანს უმაღლესი განათლება და ამასთან პროპაგანდისტული და საკონსულტაციო მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს.

საქალაქო კომიტეტმა კარგად გამოიყენა ზაფხულის პერიოდი პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა თეორიული დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის. მოეწყო ლექციების ციკლი, ამასთან სისტემატურად წარმოებდა პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა მოწინავე გამოცდილების განზოგადება, ეწყობოდა ექსკურსიები ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

სექტემბერში მეცადინეობა დაიწყეს პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა მუდმივმოქმედმა სემინარებმა. სემინარებზე დამუშავებულ იქნა ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხები.

საქალაქო კომიტეტმა სერიოზული ღონისძიებანი განახორციელა ლექციური პროპაგანდის შემდგომი გაძლიერებისათვის. ლექტორთა ჯგუფი განმტკიცდა ახალი ძალებით, მათ შორის განაწილებულია თემები. წელს იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით სწავლობენ პარტიის ისტორიასა და თეორიას, მოეწყობა ლექციების ციკლი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიიდან, ფილოსოფიიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებიდან.

23 სექტემბერს პარტიის სუხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ. პლენუმმა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულ იქნა საათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ქალაქ სუხუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციები პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყოველმხრივ მომზადებული ხვდებიან.

გ. ფირცვავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უკეთესად ვიმუშაოთ კომუნისტთა პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის

შარშან ქუთაისის მაუდის ფაბრიკის კომუნისტთა სწავლებაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი იყო. პარტიული განათლების ქსელში ჩაბმული ყველა კომუნისტი ბეჯითად არ მეცადინეობდა. ზოგიერთი პოლიტსკოლა და წრე ცვლების მიხედვით არ იყო დაკომპლექტებული. დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებთან სისტემატურად არ ეწყობოდა თეორიული გასაუბრებანი, დანერგილი არ იყო რეფერატების მომზადება და განხილვა.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. კაპანაძე) პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დროზე დაიწყო. შექმნილია და მეცადინეობას დაიწყებს დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 4 წრე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის 2 და მაღალი ტიპის 1 წრე. ყველა წრე დაკომპლექტებულია ცვლების მიხედვით, კომუნისტების პოლიტიკური დონისა და სურვილის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომუნისტთა რიცხვი, რომლებიც დამოუკიდებლად შეისწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას. წრეების ხელმძღვანელებად შერჩეული და დამტკიცებული არიან პროპაგანდისტთა მომზადებული კადრები. გამოყოფილია სამეცადინო ოთახები, რომლებიც უზრუნველყოფილია თვალსაჩინო ხელსაწყოებით, მაგრამ არ კმარა სახელმძღვანელოები და ლიტერატურა.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა ისე მოაწყოს საქმე, რომ ყველა კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი დაუღალავად იმაღლებდეს იდეურ-თეორიულ დონეს.

ი. ბუხაიძე.

წერილები რედაქციისადმი

ხელმძღვანელები შეცვალეს, მუშაობის პირობები კი უცვლელია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტისა და ქალაქ რუსთავის ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისათვის ცნობილი გახდა, რომ მეტალურგთა ქალაქის კულტურის სახლში მუშაობა მთლიანად ჩაშლილი იყო. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კულტურის სახლის უღირსი ხელმძღვანელები ენერგიული და საქმის წარმატებით დაინტერესებული მუშაკებით შეცვალეს. მაგრამ კულტურის სახლის მუშაობისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად თავი არავის შეუწუხებია.

კულტურის სახლისათვის ქალაქგარეთ გამოყოფილია შეუფერებელი, ყოველად უვარგისი შენობა, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა განხორციელება შეუძლებელია. შენობას არა აქვს წრეების სამეცადინეო ოთახები, მაყურებელთა დარბაზიც მეტად პრიმიტიულია. მოუწყობელია აგრეთვე შენობასთან მისასვლელი გზა. წვიმიან ამინდში გუბეები დგება და კულტურის სახლთან მისვლა ძნელდება.

რუსთავის კულტურის სახლისათვის შესაფერი შენობის გამოყოფის საკითხი არაერთხელ იდგა როგორც ადგილობრივი ორგანოების, ისე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის წინაშე, მაგრამ დღემდე ამ საქმის მოგვარებას არავინ ფიქრობს.

ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის კულტურის სახლისათვის შესაფერი შენობის გამონახვა უნდა დაჩქარდეს.

ვ. ჩიკვილაძე,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ხარმონტო-მექანიკური საამქროს მუშა.

ხელშეკრულება ფარაჯინა ქაღალდად დარჩა

ნარაზენი ერთ-ერთი დიდი სოფელია ზუგდიდის რაიონში. იქ არის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ჩაის ფაბრიკა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. ამ ორი წლის წინათ კოლმეურნეებმა სურვილი გამოთქვეს ელექტროგაყვანილობა მოეწყოთ. საკითხი განხილულ იქნა საერთო კრებაზე. გადაწყდა ხელშეკრულება დაედოთ „საქსოფლენერგოსთან“, რაც მალე სისრულეში მოიყვანეს.

კოლმეურნეები სიხარულით ელოდნენ, რომ მათ ოჯახებში 1950 წლის შემოდგომისათვის ილიჩის ნათურები აციმციმდებოდა, რადიო ალაპარაკდებოდა, მაგრამ ამაოდ. ხელშეკრულება ქაღალდზე დარჩა, ელექტროგაყვანილობის სამუშაოები დღემდე დაწყებულიც არ არის.

ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ელექტროგაყვანილობა უნდა მოეწყოს, ხოლო საქმის გაჭიანურებაში დამნაშავეებმა პასუხი აგონ.

ბ. ბიგვავა

მეგზი ყურადღება სოფლის აბანოებს

გასულ წელს ბორჯომის რაიონში მრავალი აბანო აშენდა. სოფლებში — ბაჭობისხევში, წაღვერში, ბაკურიანში აბანოები კარგად მუშაობენ. მაგრამ ასე არ ითქმის საკირის და ტაბაწყურის აბანოებზე. საკირეში აბანო ნავთის საწყობად აქვთ გამოყენებული, ტაბაწყურში კი დაზიანებული აუზი და ძილები დღემდე არ აღადგინეს.

სოფელ დვირში საუკეთესო მინერალური ბუნებრივი თბილი წყალის აბანო მოუწყობელია. კეთილმოწყობა აკლია ახალდაბის კოლმეურნეობის აბანოსაც.

უფრო ცუდი მდგომარეობაა სოფელ ცხინჯვრის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ს. ნიკოლაევი), სადაც მესამე წელია აჭიანურებენ საკოლმეურნეო აბანოს მშენებლობას.

აღნიშნულმა სასოფლო საბჭოებმა და ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლის აბანოებს.

ა. ცუცქირიძე,
ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის სასოფლო და საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების გამგე.

როდემდის გაგრძელდება ასე?

უკვე დიდი ხანია რაიონის ცენტრი ჩხარიდან გადატანილია თერჯოლაში. საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლების საგრძნობი ნაწილი ჩხარში ცხოვრობს. მათ ყოველდღიურად უხდებათ 10 კილომეტრით დაშორებულ თერჯოლაში სიარული. ამ ორ პუნქტს შუა დამყარებული არ არის რეგულარული სამგზავრო ტრანსპორტის მიმოსვლა. ამის გამო დამთავრდება თუ არა სამუშაო დღე, მუშა-მოსამსახურეები გზაზე დგანან და შემთხვევით გამვლელ ავტომანქანებს ელოდებიან.

თერჯოლის რაიონული საბჭოს აღმასკომი მოვალეა მოაგვაროს თერჯოლასა და ჩხარს შუა ტრანსპორტის მიმოსვლა და მუშა-მოსამსახურეებს შეუქმნას ნორმალური მგზავრობის პირობები.

ს. მუმლაძე

დიდი ჩინელი ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებს

(ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მესამე წლისთავისათვის)

○

სამი წლის წინათ, 1949 წლის 1 ოქტომბერს, შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. „ჩინეთის დემოკრატიის გამარჯვებით, — ამბობდა ამხანაგი გ. მ. მალენკოვი 1949 წელს, — ახალი ფურცელი გადაიშალა არა მარტო ჩინელი ხალხის, არამედ იმპერიალისტების მიერ ჩაგრული აზიის ყველა ხალხის ისტორიაში. აზიის, წყნარი ოკეანის აუზის, მთელი კოლონიური სამყაროს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ახალ, მნიშვნელოვნად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა“.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ სერიოზულად განამტკიცა პოზიციები მსოფლიო დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ბანაკისა, რომელიც მტკიცე მშვიდობისათვის იბრძვის. იმპერიალიზმის სისტემამ განიცადა ახალი დარტყმა, რომელიც ყველაზე გამანადგურებელია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

I

ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი კაცობრიობის ისტორიულ ბედზე. მან ბოლო მოუღო კაპიტალისტური სისტემის, როგორც ერთიანი და ყოვლისმომცველი სისტემის არსებობას და მის გვერდით და მის საწინააღმდეგოდ შექმნა ახალი, სოციალისტური სისტემა. კაცობრიობის ისტორიაში დადგა ძირეული მობრუნება ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ. ოქტომბრის რევოლუციის ქვემეხთა ზალპებმა ჩინეთამდე მიიტანა მარქსიზმ-ლენინიზმი. „ჩვენ,— აღნიშნავდა ჩინელი ხალხის ბელადი მაო ძე-დუნი,—მადლობელი ვართ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინისა, რომლებმაც იარაღი მოგვცეს. ეს იარაღია არა ტყვიამფრქვევები, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმი“.

ოქტომბრის რევოლუციის უშუალო გავლენით ჩინეთში ჩაისახა კომუნისტური პარტია. მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულმა, მან აღაფრთოვანა და დარაზმა ჩინელი ხალხი თავისი საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, გაუხსნა ჩინელ ხალხს გზა სოციალიზმისაკენ და წარმატებით ხელმძღვანელობს ახალი ჩინეთის მშენებლობას.

ახლა წინასწარმეტყველურად გაისმის აძხანაგ სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1925 წელს ნათქვამი სიტყვები: „რევოლუციური მოძრაობის ძალები ჩინეთში აურაცხელია. მათ ჯერ არ უჩენიათ თავი როგორც საჭიროა. ისინი კიდევ იჩენენ თავს მომავალში. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მმართველები, რომლებიც ამ ძალებს ვერ ხედავენ და მათ ჯეროვან ანგარიშს არ უწევენ, ზიანს ნახავენ ამით“.

ჩინელმა ხალხმა განვლო ფეოდალური და იმპერიალისტური უღლისაგან თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძნელი და ეკლიანი გზა. გმირი სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა გაფთრებულ ბრძოლებს ჩანკაიშისტურ ხროვასთანაც და იაპონელ იმპერიალისტ დამპყრობლებთანაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მსოფლიო რეაქციის ბანაკს სათავეში ჩაუდგა ამერიკის იმპერიალიზმი, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ვარაუდობდნენ გამოეყენებინათ ჩინეთი აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში თავიანთი ბატონობის ძირითად ბაზად. ამ მიზნით ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული ჰქონდათ გადაექციათ ჩინეთი თავიანთ გიგანტურ კოლონიურ დანამატად. არასრული ცნობებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ანტიხალხური გომინდანური რეჟიმის დასახმარებლად, ჩინეთში სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად ექვს მილიარდამდე დოლარი დახარჯეს.

შეერთებულმა შტატებმა, მიუხედავად საზეიმო დაპირებისა, რომ არ ჩაერეოდნენ ჩინეთის საშინაო საქმეებში. იაპონელ მილიტარისტთა კაპიტულაციის შემდეგ ჩინეთში გაგზავნეს თავიანთი სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალები, მოახდინეს ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტების ოკუპაცია მთელ ჩინეთში. ამერიკის იმპერიალიზმმა შეაიარაღა გომინდანის არმიები და მიუსია ისინი ხალხს.

ძირმომპალი გომინდანური რეჟიმი, რომელმაც თავისი ბედი ამერიკის იმპერიალიზმს დაუკავშირა, ჩინელი ხალხისაგან პოლიტიკურად სავსებით იზოლირებული აღმოჩნდა. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეტევამ გამოიწვია განმათავისუფლებელი ბრძოლის უმაგალითო აღმავლობა მთელ ჩინეთში. ჩან კაი-შის რეაქციული ხროვის ჯარები სასტიკად დამარცხდნენ, ჩინეთში სახალხო დემოკრატიის ძალაუფლება დამყარდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე წერდა: „ის გარემოება, რომ ჩან კაი-შიმ— ამერიკის იმპერიალიზმის ამ ქოფაკმა— ასეთი გამანადგურებელი დამარცხება განიცადა, შემთხვევითი როდია. ასეთია გარდუვალი ბოლო ყველა რეაქციონერისა, რომლებიც არ ითვალისწინებენ ხალხის ნებასა და ძალას, ასეთია გარდუვალი ბოლო ყველა ავანტიურისტისა, რომლებიც ხედავენ მხოლოდ თავიანთი არმიების დროებითს, ხელოვნურ ძალას, ხოლო ვერ ხედავენ თავიანთ საკუთარ პოლიტიკურ იზოლაციას და ამიტომ ხალხის წინააღმდეგ მოქმედებენ“.

მხოლოდ სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ უზრუნველყო ჩინეთისათვის მშვიდობიანი ცხოვრება. ამ გამარჯვებამ შექმნა უდიდესი შესაძლებლობანი მთელი ცხოვრების აღმავლობისა და აყვავებისათვის ჩინეთში, რომელმაც თავი დააღწია მილიტარისტული ხროვების ბატონობას, უცხოელთა უღელს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნით სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ჩინელი ხალხის დამონების ერა. ცენტრალური სახალხო მთავრობის წინაშე წამოიჭრა მეურნეობის აღდგენისა და განვითარების, ძირეულ დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელების გრანდიოზული ამოცანები.

მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმს, მიუხედავად დამარცხებისა, ხელი არ აუღია ჩინეთის დამონების გეგმებზე. ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულმა ხასიათმა მკაფიოდ იჩინა თავი მის პოლიტიკაში ჩინეთის მიმართ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელში ჩაიდეს ჩინეთის კუნძული ტაივანი, გააჩაღეს შეიარაღებული ინტერვენცია კორეაში, დაიწყეს ჩინეთის ქალაქებისა და სოფლების სისტემატური დაბომბვა. ჩინელი ხალხისათვის აუცილებელი გახდა დაეცვა თავისი საზღვრები და უკუეგდო აგრესია.

„ჩვენ არა გვსურს თავს დავესხათ რომელიმე ქვეყანას, — ამბობს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი,—ჩვენ მხოლოდ წინააღმდეგობას ვუწევთ იმპერიალისტურ აგრესიას, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ყველამ იცის—ამერიკის ჯარებს ჩვენი ტაივანის ოკუპაცია რომ არ მოეხდინათ, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში რომ არ შეჭრილიყვნენ და თავიანთი იერიშები ჩვენს ჩრდილოაღმოსავლეთ საზღვრებამდე რომ არ გაევრცელებინათ, ჩინელი ხალხი ამერიკის ჯარების წინააღმდეგ არ იბრძოლებდა. მაგრამ ვინაიდან ამერიკელი დამპყრობლები თავს დაგვესხნენ, ჩვენ არ შეგვეძლო არ აღგვემართა ბგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. ეს აბსოლუტურად აუცილებელი და საკვებით სამართლიანი იყო“.

ამერიკელი იმპერიალისტები შეცდნენ, ჩინელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი მისი სისუსტის ნიშნად რომ ჩათვალეს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობიანი პოლიტიკა ეყრდნობა მის მზარდ ძლიერებას, მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის მზარდ ძალებს.

ჩინელმა ხალხმა მოძმე კორეელი ხალხის დასახმარებლად გაგზავნა თავისი მამაცი მოხალისენი. მთელ ჩინეთში გაჩაღდა ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობისა და კორეისადმი დახმარების მძლავრი მოძრაობა.

ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა გამოთქვეს ჩინელი ხალხის შეუდრეკელი ნებისყოფა—დაიცვან თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაეხმარონ კორეელ ხალხს მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

კორეელი ხალხის ბელადი კიმ ირ სენი ამბობს:

„ჩვენი დიდი მეზობლის უმაგალითო გმირობა სამუდამოდ დარჩება მადლიერი კორეელი ხალხის ხსოვნაში. კორეისა და ჩინეთის ხალხებს აქვთ საერთო ინტერესები, საერთო მისწრაფება მშვიდობისა და ეროვნული აყვავებისაკენ, საერთო მიზანი—იბრძოლონ მტრის — ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ხელყოფს კორეისა და ჩინეთის სუვერენიტეტს. ჩვენ დაკავშირებული გართ ისტორიული მეგობრობით. ახლანდელ ბრძოლაში, ისევე როგორც იაპონიის აგრესიის წლებში, ჩვენი ხალხები საბრძოლო თანამეგობრობით მოქმედებენ. კორეის ომში ჩინელ მოხალისეთა მონაწილეობა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების განუყრელი მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ახალი შესანიშნავი ფორმაა, ძლიერის კეთილშობილური დახმარებაა სუსტისადმი—თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის უანგარო პრინციპების საფუძველზე“.

ჩინელი და კორეელი ხალხების მამაცობამ და სიმტკიცემ გზა გადაუღობა ამერიკის აგრესიას, რომელმაც მარცხი განიცადა კორეაში. მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ვერც დანაშაულებრივი ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება, ვერც მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვა ვერ დააჩოქებს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს. კორეელი და ჩინელი ხალხების ბრძოლა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მშვიდობის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილია. ეს ბრძოლა აღაფრთოვანებს ხალხებს იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ დამპყრობლებს, ჩაშალონ ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა გეგმები.

II

ჩინელი ხალხი წარმატებით აშენებს ახალ, თავისუფალ ცხოვრებას. კომუნისტურმა პარტიამ ჩინეთის უმაგალითო ერთიანობას მიაღწია. განმტკიცებულია ხელისუფლების სახალხო-დემოკრატიული ორგანოები.

აგრარული რეფორმის გატარებამ, ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობისა და კორეისადმი დახმარებისათვის მოძრაობამ, კონტრრევოლუციონერთა დათრგუნვამ კიდევ უფრო განამტკიცა სახალხო დემოკრატიის დიქტატურის წყობილება, ხელი შეუწყო ხალხის უფართოესი მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის გაღვიძებას. ჩინეთის მშრომელებმა წარმატებით მოწყეს კამპანია სახელმწიფო აპარატის გასაწმენდად გახრწნილი და რეაქციული ელემენტებისაგან, გადაჭრით აღკვეთეს რეაქციული ბურჟუაზიის ნაწილის ანტიხალხური მოქმედება, რომელიც მიმართული იყო სახალხო მთავრობის რევოლუციურ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ შესაძლებელი გახადა აგრარული რეფორმის გატარება. ეს რეფორმა დამთავრებულია ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობა 420 მილიონ კაცს აღემატება. იქ ლიკვიდირებულია ფეოდალურ-მემამულური მიწათმფლობელობის სისტემა და დამკვიდრებულია გლეხური მიწათსარგებლობის სისტემა. მოსპობილია მემამულეთა კლასის რეაქციული ძალები, ხოლო წინათ ჩაგრული გლეხები ახლა მდგომარეობის ნამდვილი ბატონ-პატრონები გახდნენ სოფლად. ახლა ჩინელი გლეხები ამბობენ: „წარსულში ყველაფერი—ცა დ› მიწა—მემამულეებს ეკუთვნოდათ, ახლა კი ჩვენი გახდა“.

მიწის რეფორმის მეოხებით გაძლიერდა გლეხების საწარმოო აქტივობა. მთავრობა გლეხებს აძლევს სესხს, სასუქებს, თესლს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ჩინეთის სოფლის მეურნეობა ახალი განვითარების გზაზეა. შარშან სოფლის მეურნეობის პროდუქციამ ანტიიაპონურ ომამდე არსებული მაქსიმალური დონის 92,8 პროცენტი შეადგინა. წელს სოფლის მეურნეობამ ომამდელ დონეს მიაღწია. ჩინეთის საფეიქრო მრეწველობა უკვე მიმდინარე წელს მთლიანად იკმაყოფილებს საჭიროებას ჩინეთში მოყვანილი ბამბით.

აგრარული რეფორმის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ იგი ხელს უწყობს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობას. საწარმოო ძალები ისეთ ქვეყანაში, სადაც დამსხვრეულია ფეოდალიზმის ბორკილები, გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება. სახალხო სახელმწიფო თავისი პოლიტიკით უზრუნველყოფს მთელი ეკონომიკის განუხრელ განვითარებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დროიდან გასული სამი წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის საერთო წლიური მოცულობა ერთიორად ან უფრო მეტად გადიდდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქცია ერთნახევარჯერ გაიზარდა.

ჩინეთის ეროვნულმა განთავისუფლებამ შეცვალა მისი ეკონომიკის სტრუქტურა. ჩინეთი მარტო ნედლეულის მიმწოდებელი და გასაღების ბაზარი როდია, როგორც ეს ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ იყო. ქვეყანაში იქმნება მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რკინის, ფოლა-

(დასასრული 3ე-4 გვერდზე)

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია ინდოეთში

დელი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს ინდოეთის წითელი ჯვრის საზოგადოებაში გაიმართა დარბაზობა საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც ინდოეთს ჩამოვიდა ინდოეთის დამშეული მოსახლეობისათვის საბჭოთა კავშირის მშრომელების მიერ გამოგზავნილი ძღვენის — სურსათისა და ფულადი სახსრების გადასაცემად.

საზოგადოების წევრთა და პრესის წარმომადგენელთა ტაშის გრიალში დელეგაციის მეთაურმა აქმ. ჩერედნიჩენკომ გადასცა ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრსა და ინდოეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარეს რაჯკუმარი ამრიტ კაურს 250 ათასი რუპიის ჩეკი.

რაჯკუმარი ამრიტ კაურმა ინდოეთის წითელი ჯვრის საზოგადოების სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უანგარო დახმარება გაუწიეს ინდოეთის დამშეულ ხალხს. მან აღნიშნა, რომ „ეს ძღვენი მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა კავშირის კეთილ ნებას“.

ხალ დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია ინდოეთის დედაქალაქიდან გაფრინდება მადრასს, სადაც ჩაელენ სურსათით დატვირთული საბჭოთა ხომალდები.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

ულან-ბატორი, 29 სექტემბერი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოისმინა პრემიერ-მინისტრ ი. ცედენბალის ცნობა მისი მოსკოვის მგზავრობის შესახებ.

თავის ცნობაში ი. ცედენბალმა ილაპარაკა, თუ რა უდიდესი ყურადღება და ზრუნვა გამოიჩინეს საბჭოთა მთავრობამ და პირადად ამხანაგმა სტალინმა მონღოლი ხალხისათვის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარებისა და აყვავებისათვის. კერძოდ, ეს ზრუნვა გამოიხატა იმით, რომ გადაწყდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მთელი რიგი საკითხები.

— მონღოლი ხალხის მშობლიური მამისა და ბრძენა მასწავლებლის ამხანაგ იოსებ ბესარიონისძე სტალინის ყოველდღიური მამობრივი ზრუნვა, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ცედენბალმა, — მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა, რაც გამტკიცებულია ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილების სისხლით ბრძოლის ველებზე ჩვენი საერთო მტრის—იმპერიალისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, იყო, არის და მუდამ იქნება მონღოლი ხალხის ბედნიერების წყარო და დიდი იმედი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

გადაეცეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და მონღოლი ხალხის მშობლიურ მამას, ბრძენ მასწავლებელსა და უდიდეს მეგობარს აქმხანაგ სტალინს მონღოლი ხალხისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის უაღრესად მხურვალე და გულითადი მადლობა მუდმივი ყურადღებისათვის და მონღოლ ხალხზე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე მამობრივი ზრუნვისათვის.

აღბანეთის რაიონული სახალხო საბჭოების არჩევნები

ტირანა, 28 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მთელ რესპუბლიკაში წარმოებს რაიონული სახალხო საბჭოების არჩევნები, რითაც მთავრდება ალბანეთში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები.

უკვე 10-12 საათისათვის ბევრ სოფელსა და რაიონულ ცენტრში ხმა მისცა ამომრჩეველთა 90-100 პროცენტმა.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 29 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეანდელ ცნობაში ნათქვამია:

განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს და დააზიანეს მტრის 8 თვითმფრინავი.

„ხალხის მასების მოქმედების ერთიანობა რეაქციისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების საწინდარია“

ვენა, 29 სექტემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მოწვევის მოსამზადებელ კომიტეტს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია თავისი ოთხმოცი მილიონი წევრისა და ყველა მშრომელის სახელით, მიუხედავად მათი პროფკავშირული კუთვნილებისა, პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა და რასისა, მხურვალედ მიესალმება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია სრულ სოლიდარობას უცხადებს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხებს, რომელთა ბრძოლა მშვიდობისათვის განუყრელად დაკავშირებულია დამოუკიდებლობისათვის, მშრომელი მასების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლასთან.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია უერთდება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხების ხმას და მათთან ერთად მოითხოვს—შეწყდეს გამალებული შეიარაღება და საომარი მზადება, აიკრძალოს ბაქტერიოლოგიური, ატომური და ქიმიური იარაღი, აიკრძალოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა და დახოცვა, აიკრძალოს ომის პროპაგანდა და რასობრივი სიძულვილის პროპაგანდა, მოითხოვს პატივი სცეს საერთაშორისო სამართალს, შეწყდეს იაპონის რემილიტარიზაცია, მშვიდობიანად მიწესრიგდეს კორეის საკითხი სამართლიან საფუძველზე.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია დარწმუნებულია, რომ ხალხის მასების მოქმედების ერთიანობა რეაქციისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების საწინდარია.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია დარწმუნებულია, რომ კონგრესი არსებითს წვლილს შეიტანს მშვიდობის ძალების დარაზმვის საქმეში და სრულ წარმატებას უსურვებს კონგრესს მის მუშაობაში.

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა სოლიდარობას და ყველა ხალხთა მეგობრობას მთელ მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია“.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის წინ

ლიუ ნინ-ის პროტესტი

პეკინი, 30 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება, რომ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლიუ ნინ-მ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმის წინააღმდეგ, რომ იაპონიის მთავრობამ პასპორტების მიცემაზე უარი უთხრა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის იაპონელ დელეგატებს. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: იაპონიის მთავრობამ ყოველად უსაფუძვლოდ უარი განაცხადა — მისცეს პასპორტები აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის იაპონელ დელეგატებს და მისი კარნახით ფაშისტმა არამზადებმა სცემეს ამ დელეგატებს. ამ ცემის შედეგად დაზარალდა 11 დელეგატი (მათ შორის 2 ქალი), რომელთაგანაც ერთი მძიმედ დაჭრილია. ამ ბოროტმოქმედებამ არა მარტო იაპონელი ხალხის, არამედ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების სხვა ხალხების გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია.

იაპონიის მთავრობის უარი—გასცეს პასპორტები და იაპონელი ხალხის დელეგატების სასტიკი ცემა მოხდა აშკარა მიზნით—ლაზვარი ჩასცეს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესს და ხელი შეუშალონ მას განიხილოს მშვიდობისა და უშიშრობის პრობლემები, მათ შორის იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის, დამოუკიდებელი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული იაპონიისათვის ბრძოლის საკითხები, რაც ამ ქვეყნების 1.600—მილიონიანი მოსახლეობის სურვილი მოთხოვნას წარმოადგენს. ეს კვლავ იმას მოწმობს, რომ იაპონიის მთავრობა ანგარიშს არ უწევს იაპონელი ხალხისა და აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხების მისწრაფებას მშვიდობისადმი, და რომ იგი წარმოადგენს მილიტარისტულ მთავრობას, რომელისთვისაც მშვიდობის იდეები უცხოა.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის სახელით, აღნიშნავს ლიუ ნინ-ი, მე მტკიცე პროტესტს ვუცხადებ იაპონიის მთავრობას იმის გამო, რომ მან უარი თქვა მისცეს პასპორტები კონგრესის იაპონელ დელეგატებს, აგრეთვე მათი ცემის გამო.

ჩემს უდიდეს თანაგრძნობას გამოვთქვამ და ვმხარს ვუჭერ იაპონელი ხალხის სამართლიან ბრძოლას კონგრესის დელეგატების პასპორტებით უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე მხარს ვუჭერ დაზარალებულთა მოთხოვნას, რომ იაპონიის მთავრობამ ბოდიში მოიხადოს, დასჯის ფაშისტი არამზადები და აანაზღაუროს ზარალი.

დასასრულ ლიუ ნინ-ი აღნიშნავს, რომ მშვიდობის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის იაპონელ პატრიოტთა ბრძოლას ერთსულოვნად უჭერს მხარს ასობით მილიონი ადამიანი აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. მშვიდობის წინააღმდეგ გამოსული ეგზავნიან ძალები ვერ შეძლებენ, განაცხადა მან, დაარღვიონ ან შეარყიონ ის სოლიდარობა და ურთიერთდახმარება, რომლებიც გამომდინარეობენ მშვიდობისმდმი ხალხთა საერთო მისწრაფებიდან.

პოლონეთის სეიმის არჩევნების წინ

ვარშავა, 29 სექტემბერი. (საკდესი). ვარშავის № 1 საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაიტარა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დეპუტატობის კანდიდატები და დეპუტატის მოადგილეების კანდიდატები. რეგისტრირებულთა შორის არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი, პოლონეთის მარშალი კონსტანტინ როკოსოვსკი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იაკუბ ბერმანი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იან დემბოვსკი, ცნობილი კალატოზი იუზეფ მარკოვი და სხვა საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერი მუშაკები და წარმოების მოწინავენი.

ვარშავაში, კრაკოვსა და სხვა ქალაქებში დაიწყო დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან.

დამთავრდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-5 ყრილობა

ბერლინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დორტმუნდში დამთავრდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-5 ყრილობა.

ოფიციალური ცნობებიდან ჩანს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 100 ათასი წევრი დაკარგა. ყველაზე მეტი წევრი ტოვებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებს დასავლეთ ბერლინში, ქვემო საქსონიისა და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარეებში, სადაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეიტერისა და კოპფის ტიპის მემარჯვენე ლიდერები აშკარად ღალატობენ გერმანელი ხალხის ინტერესებს.

ბონის სამხედრო შეთქმულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაა

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის წერილი

პრაღა, 29 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება:

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციამ საფრანგეთის, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის პარლამენტებს მიმართა წერილით, რომელშიც ანალიზს უკეთებს ბონის სამხედრო ხელშეკრულებას და ხელშეკრულებას ევროპეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ. დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაცია აღნიშნავს, რომ ბონის ხელშეკრულება და ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაა და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, ამიტომ მას არავითარი იურიდიული ძალა არ ექნება.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის ცალკეულმა ეროვნულმა ორგანიზაციებმა იმ ქვეყნებში, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, — ბელგიაში, იტალიაში, ლუქსემბურგსა და ჰოლანდიაში — ეს წერილი გაუგზავნეს თავიანთი ქვეყნების პრემიერ-მინისტრებს, საგარეო საქმეთა მინისტრებსა და პარლამენტების თავმჯდომარეებს, რათა მიაქციონ მათი ყურადღება იმას, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებები საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა და საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ზემო ხვანეთის ხოფ. დიზის მარმარილოს კარიერი. წინა პლანზე მუშათა საცხოვრებელი ბინები.

ფოტო ნ. ჯომიდავასი.

მეგზაღურგების შეხვედრა ა. ხორავასთან

რუსთავი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქალაქის კულტურის სახლში შედგა მეტალურგების შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატ სსრ კავშირის სახალხო არტისტ ა. ხორავასთან. მსახიობის სასცენო-შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგემ ვ. რეხვიაშვილმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მეფოლადე შ. კუბალეიშვილი, ამერიკაკაშილის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილე მ. კოვარსკი და სხვ.

ა. ხორავამ მადლობა გადაუხადა მეტალურგებს გულთბილი შეხვედრისათვის.

თვითმოქმედი წრეების შემოქმედების დათვალიერება

მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი დათვალიერების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით კოლმეურნეობებთან, საწარმო-დაწესებულებებთან, კლუბებსა და სოფლის სამკითხველოებთან არსებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების შემოქმედების დათვალიერება საქართველოს სს რესპუბლიკაში მოეწყობა 1-დან 20 ოქტომბრამდე.

საქალაქო და რაიონული დათვალიერება კი —20 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე.

მოხსენება გეოგრაფიულ საზოგადოებაში

პარასკევს, 3 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომის დარბაზში (ცეცხოველის ქ. № 11) დოცენტი ქ. ყავრიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: ბზიფის ქედისა და ყირიმის იაილების ლანდშაფტები.

დასწრება თავისუფალია.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ხეზონის გახსნა

შაბათს 4 ოქტომბერს	ზ. ფალიაშვილი	**დაისი**
კვირას 5 ოქტომბერს დილით	რ. ლეონკავალო	1. **ჯამბაზები** 2. **საქოველცერტო განყოფილება** — დასაწყისი დღის 12 საათზე
კვირას 5 ოქტომბერს საღამოს	დ. თორაძე	**გოგრდა** — სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით

სპექტაკლების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს რადიოგადაცემათა 2 ოქტომბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები მშვიდობაზე; 09.20 — რუსული სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 11.00 — ჰაიდნის და მოცარტის ვოკალური და ინსტრუმენტალური ანსამბლები; 11.25 — საუბარი; 11.40 — ქართული ხალხური სიმღერები; 12.15 — ძველი რევოლუციური სიმღერები; 12.45 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი; 17.15 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.20 — არუთინიანის კანტატა სამშობლოზე; 19.45 — გადაცემა კოლმეურნე ახალგაზრდობისათვის.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — სამშობლო; **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი; **გრიბოედოვის სახელობის** — სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება (აბონემენტი 1, 2); **მუსკომედიის**—ერთხელ გაზაფხულზე; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძველი ჭრილობა (აბონემენტი 24, დასაწყისი 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — წინ, უშიშარნო (დასაწყისი 5 ს.); **სანკულტურის** — მშვიდობის სიმფონია.

მოქალაქე **ეთერ იასონის ასულმა ბეჟანიშვილმა**, მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 14, აღძრა საქმე ჩაქვის ქ. № 10 მცხოვრებ მოქალაქე **ოთარ არჩილის-ძე ბეჟანიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები თინა, ნანო აფხაზავები, შვილიშვილები ციალა, პეტრე, ლილი კიხრეიძეები იუწყებიან **ოლია ლუკას ასულ რუხაძე-აფხაზავას** გარდაცვალებას.

სახალხო განათლება

საკოლმეურნეო ეკონომიკის მიმთვისებლები ღირსეულად დაისაჯნენ

დმანისი. (საკ. კორ.). სოფელ გომარეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე მოქმედებდა ბოროტმოქმედთა ჯგუფი, რომელსაც ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. მუჯირიშვილი, ბუხალტერი რ. აბაშიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — იგივე საწყობის გამგე ა. ბაქრაძე მეთაურობდნენ. ბოროტმოქმედთა ჯგუფში შედიოდნენ ა. თეთრაძე, გ. თედიაშვილი, ს. ქრისტესიაშვილი, გ. სიხუაშვილი, ვ. ხიზანაშვილი, ლ. ქრისტესიაშვილი, გ. მახნიაშვილი, ვ. მურჯიკელი, შ. თათელაძე, ნ. გაგლოევი და სხვ. კომბინატორებმა მითვისეს და გაანაიავეს 246 ათასი მანეთის საკოლმეურნეო დოვლათი.

ბოროტმოქმედება რომ ხდებოდა, ეს იცოდა საქართველოს კ. პ. (ბ) დმანისის რაიკომის ყოფილმა მეორე მდივანმა ა. მარსაგიშვილმა, მაგრამ იგი მფარველობას უწევდა მათ.

საკოლმეურნეო დოვლათის გამნაიავებელთა და მიმთვისებელთა საქმე სოფელ გომარეთშიც ამ დღეებში განიხილა თბილისის საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ.

სასამართლომ კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს მ. მუჯირიშვილს, ყოფილ ბუხალტერს რ. აბაშიძეს და საწყობის ყოფილ გამგეს ა. ბაქრაძეს მიუსაჯა ოც-ოცი წლით პატიმრობა ქონების კონფისკაციით და საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა ხუთ-ხუთი წლის ვადით; საწყობის გამგე გ. თედიაშვილს, შოფერ ა. თეთრაძეს, მატყლის დამზადების პუნქტის გამგეს ს. ქრისტესიაშვილს და მოანგარიშე გ. სიხუაშვილს — თხუთმეტ-თხუთმეტი წლით პატიმრობა, მოლარე ლ. ქრისტესიაშვილს, საწყობის გამგე ვ. ხიზანაშვილს ათ-ათი წლით პატიმრობა, ო. ჩაჩანიძე-ჯალიძეს, გ. მახნიაშვილს, გ. ჩაჩანიძეს და ვ. მურჯიკელს რვა-რვა წლით, ნ. გაგლოევს — 7, შ. თათელაძეს — 5 წლით პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სხვადასხვა ვადით ხმის უფლების ჩამორთმევა. პარტიის დმანისის რაიკომის ყოფილ მეორე მდივანს ა. მარსაგიშვილს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის მიესაჯა 3 წლით პატიმრობა.

სასამართლოს დადგენილებით ყველა მსჯავრდადებულს დაეკისრა კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი: მოწონაგე — უდიდესი განძი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დეპეშა ამხანაგ მაო ძე დუნს და ამხანაგ ა. ვიშინსკის დეპეშა ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის.

წერილები საერთო სათაურით „საქართველოს მშრომელები სახელოვანი პატრიოტული საქმეებით ეგებებიან პარტიის XIX ყრილობას“.

მეორე გვერდი: ს. ბელავსკაია — ლენინ-სტალინის პარტიის მძლავრი იდეური იარაღი.

პარტიის XIX ყრილობის შესახვედრად, — წერილები.

დ. მჭედლიძე — ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრი ახალ სეზონში.

მესამე გვერდი: ლ. ტოლკუნოვი — დიდი ჩინელი ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებს.

ფელეტონი. ა. მარგალიტაძე — „სიბრძნის თევზის“ წინასწარმეტყველება.

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

დიდი ჩინელი ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებს

(დასასრული)

დის, მანქანების წარმოება რვაჯერ-ცხრაჯერ გადიდდა. ქვანახშირის ამოღება და ელექტროენერგიის წარმოება ერთიორად გაიზარდა.

აღდგენილია რკინიგზის ტრანსპორტი და საერთოდ აშენებულია ათას კილომეტრზე მეტი ახალი რკინიგზები. წარმოებს უდიდესი საირიგაციო სამუშაოები, რომლებიც ათეულ მილიონობით გლეხს წყალდიდობის საფრთხისაგან იხსნის.

ჩინეთის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფო სექტორი, რომელსაც სოციალისტური ხასიათი აქვს. სახელმწიფოს ხელშია მძიმე მრეწველობის 70-80 პროცენტი და მსუბუქი მრეწველობის დაახლოებით 40 პროცენტი, ყველა რკინიგზა და ნაოსნობის ნახევარზე მეტი.

ეკონომიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებები შესაძლებელს ხდიან ჩინელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, მცირდება ფართო მოხმარების საქონლის ფასები.

ჩინეთში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება კულტურული რევოლუცია. იმპერიალიზმი და ფეოდალიზმი ჩინელ ხალხს სიბნელეში ამყოფებდნენ. ხალხის ხელისუფლებამ მშრომელებს გზა გაუხსნა ცოდნისაკენ, კულტურისაკენ. შარშან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა ორასი ათასამდე კაცი. ტექნიკუმებსა და საშუალო სკოლებში — ორ მილიონზე მეტი, დაწყებითს სკოლებში—ორმოცდასამი მილიონი. მილიონობით გლეხი დაიარება ზამთრის სკოლებში, ასიათას ათასობით მუშა მონაწილეობს საწარმოო სკოლებში.

მნიშვნელოვანი მიღწევებია ჯანმრთელობის დაცვის დარგში. აშენებულია ასობით ახალი საავადმყოფო, შექმნილია ათასობით სამედიცინო პუნქტი. მშრომელებისათვის გახსნილია სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

სახალხო ხელისუფლების არსებობის სამი წლის განმავლობაში ჩინეთმა აღადგინა და შემდგომ განავითარა თავისი ეკონომიკა. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ფართო მასშტაბების ეკონომიურ მშენებლობაზე გადასვლას. კომუნისტური პარტია სახავს ჰამორჩეხილი საოფლო-სამეურნეო ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ჩინეთის გადაქცევის დიად გეგმებს.

ახალმა პირობებმა ჩინელ ხალხს ინიციატივის, შრომითი აქტივობის დაუშრეტელი წყაროები შეუქმნა. თვალნათლივ რწმუნდებიან რა სახალხო-დემოკრატიული წყობილების ძირეულ უპირატესობაში, მშრომელები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. მთელ ჩინეთში პატრიოტული აღმავლობაა.

III

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავისი შესანიშნავი წარმატებებით განამტკიცებს ძალებს მშვიდობისა და დემოკრატიის დიდი ბანაკისას, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას. ჩინელი ხალხი ყველა თავისუფალ ხალხთან და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხალხთან ურღვევი ძმური მეგობრობით არის დაკავშირებული.

ამხანაგი სტალინი ამას წინათ წერდა, რომ „საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიადი მეგობრობა წარმოადგენს საიმედო გარანტიას ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს“.

საბჭოთა ხალხი მუდამ უდიდესი სიმპათიით ეკიდებოდა ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას. საბჭოთა არმიის მიერ იაპონელი მილიტარისტების განადგურებამ მნიშვნელოვნად გაუადვილა ჩინელ ხალხს ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის 1950 წლის 14 თებერვალს მოსკოვში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ განამტკიცა ჩინელი და საბჭოთა ხალხების დიდი ხნის მეგობრობა.

საბჭოთა კავშირი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე დიდ უანგარო დახმარებას უწევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ამხანაგი მაო ძე-დუნი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების მეორე წლისთავის გამო ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ დეპეშაში წერდა:

„ჩვენ მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ ორი წლის მანძილზე საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეთანხმებების სულისკვეთებით, მხურვალე და უანგარო მხარდაჭერას უწევდნენ ჩინეთის მთავრობას და ჩინელ ხალხს, რაც დიდად დაეხმარა ახალი ჩინეთის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას და სახელმწიფოს განმტკიცებას“.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობის ახალი ნათელი გამოვლინება, ამ მეგობრობის სასიცოცხლო ძალის დადასტურებაა საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ღელეგაციას შორის მოლაპარაკების წარმატება. ამ მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. მოლაპარაკებამ, რომელიც მეგობრული ურთიერთგაგებისა და გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დაადასტურა, რომ ორივე მხარეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი ღონისძიებანი მიმართოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისაკენ. საბჭოთა მთავრობა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია შეთანხმდნენ დაწყებულ იქნას ღონისძიებათა განხორციელება იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობამ არა უგვიანეს 1952 წლის 31 დეკემბრისა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას უსასყიდლოდ გადასცეს სრულ საკუთრებად ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის ერთობლივი მართვის ყველა თავისი უფლება და რკინიგზის კუთვნილი მთელი ქონება. შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებას, რომელიც მიღწეულია ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა პორტ-არტურის სსრ კავშირისა და ჩინეთის მიერ ერთობლივი გამოყენების ვადის განგრძობის საკითხზე. მას შემდეგ, რაც იაპონიამ უარი თქვა ორმხრივი საზავო ხელშეკრულების დადებაზე და მას შემდეგ, რაც მან სეპარატული ხელშეკრულება დადო ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან, შეიქმნა მშვიდობის საქმისათვის საშიში და იაპონიის აგრესიის გამეორებისათვის ხელსაყრელი პირობები. ამის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობას დათანხმებულიყო პორტ-არტურიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის ვადის გაგრძელებაზე იმ დრომდე, სანამ არ დაიდება საზავო ხელშეკრულებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და იაპონიას შორის, და საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის. საბჭოთა მთავრობამ ამ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა.

მთელი პროგრესული კაცობრიობა მიესალმება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის განმტკიცებას. ჩინეთში ხალხის ენთუზიაზმის ახალი ტალღა აზვირთდა. მთელ თვალუწვდენელ ქვეყანაში იმართებოდა მიტინგები და კრებები, რომლებზეც მშრომელები მადლობას უძღვნიდნენ საბჭოთა კავშირს მისი ძმური დახმარებისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავისი არსებობის მეოთხე წელიწადში შედის. საბჭოთა ხალხი ჩინელ ხალხს გულწრფელად უსურვებს ახალ წარმატებებს სახალხო-დემოკრატიული ჩინეთის მშენებლობაში.

ლ. ტოლკუნოვი.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა—3-81-84, პროპაგანდისა—3-57-61, მრეწველობისა—3-81-81, სოფლის მეურნეობის—3-57-61, სახელმწიფო მშენებლობის,